ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
22.08.2013№ 145
თბილისი
დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის № 947 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე 2013 წლის 26 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით (იხ.დანართი).
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიაში ჩატარდეს 2013 წლის 18 და19 სექტემბერს.
6. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2013 წლის 23 სექტემბრამდე.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ლ.კლიმიაშვილს.
8. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

1. სამშენებლო ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 430 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 179923;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - სტუ-ს VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 393132

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - სტუ-ს III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306
   საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - სტუ-ს II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 237
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 316468

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 550 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 40 35

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, 1"c"კორპუსი, მე-6 სართული, ოთახი 602
   საკონტაქტო ტელეფონი - 574 443698

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 912 "ა"
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 177079

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, ა-ბლოკი, მე-3 სართული , ოთახი 303
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;